ხელშეკრულება N 119

ქ. თბილისი 26.12.2016წ.

ერთი მხრივ, ს.ს.იპ. აკ. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ნუგზარ კედელაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ოფის მენეჯერი (შემდგომში „მომწოდებელი"), მისი დირექტორის უჩა ქობალიას სახით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის 173 ლარისა და 60 თეთრის ღირებულების საკანცელარიო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ნივთების შეძენა, რომელთა დეტალური ჩამონათვალი ანგარიშფაქტურის სახით შეიქმნება შესყიდვის შემთხვევისათვის (CPV30100000, 22800000, 33700000).

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს მის მიერ შერჩეული ხარისხიანი საქონელი, დროულად და შეთანხმების პირობების დაცვით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში აანაზღაუროს საქონლის ღირებულება და თანმდევი ხარჯები.
2.2. "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად, ათი საბანკო დღის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. მოცემული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 26 თებერვლამდე.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში ან სხვა ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

6. დავათა განხილვის წესი

6.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

7. ზოგადი დებულებები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
7.2. ხელშეკრულების შეჩერება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მხარის მიერ შესყიდვის რეალურ განხორციელებამდე ნებისმიერ დროს. ამ მომენტისათვის გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო მეორე "მიმწოდებელს".

8. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
აკ. ი. ვეკუას სახ. ფიზ.-მათემატიკის №42-ე საჯარო სკოლა	შ.პ.ს. "ოფის მენეჯერი"
(ორგანიზაციის დასახელება)	*(ორგანიზაციის დასახელება)*
ქ. თბილისი; ჩაიკოვსკის ქ. №9	ქ.თბილისი. თბილისი, თემქა, 11 მ/რ, 2 კვ., 22ა კ., 66 ბ
(მისამართი)	*(მისამართი)*
ტ. 299 00 73	ტ. 2–23–83–20, 2–36–90–56
(საკონტაქტო ტელეფონი)	*(საკონტაქტო ტელეფონი)*
ს/კ 203853856. "ლიბერთი ბანკი" მთაწ.-კრწანისის ფილიალი; ბანკის კოდი: LBRTGE22; ანგ. №GE59LB0121110249062001	ს/კ 400003410; ს.ს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22 ანგ.N GE61PC0183600100027865
(რეკვიზიტები/პირადობის მოწმობის მონაცემები)	*(რეკვიზიტები)*
ნუგზარ კედელაშვილი	უჩა ქობალია
(წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი)	*(წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)*